ს.ს.ი.პ. საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრი“ დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 489

ქ. თბილისი

30 აგვისტო 2018 წელი

"სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრი" მასწავლებელთა სამუშაოზე აყვანის მიზნით კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სსიპ – საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრის“ დირექტორის 2015 წლის 02 თებერვლის N7-ა ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

"პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის, სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის "სპექტრი" წესდების მე-5 მუხლის "ე" ქვეპუნქტის თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება "სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრი" მასწავლებელთა სამუშაოზე აყვანის მიზნით კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სსიპ – საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრის“ დირექტორის 2015 წლის 02 თებერვლის N7-ა ბრძანებით დამტკიცებულ N1 დანართში:

ა) ბრძანებით დამტკიცებული N1 დანართის მე-5 მუხლის პირველ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„1. კონკურსში მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია, კოლეჯის დირექტორის სახელზე წერილობითი ფორმით წარადგინოს განცხადება და თან დაურთოს საკონკურსო დოკუმენტაცია, საკონკურსო განცხადებით განსაზღვრული პირობებისა და ვადების დაცვით. მითითებული განცხადება და დოკუმენტაცია კონკურსანტის მიერ ბარდება კოლეჯის

საკონკურსო კომისიის მდივანს, ხოლო კომისიის მდივანი განცხადებას და შესაბამის დოკუმენტაციას წარუდგენს კოლეჯის საქმისმწარმოებელს რეგისტრაციის მიზნით."

2. ბრძანების გაცნობა შესაბამისი პირებისათვის დაევალოს კოლეჯის რეესტრის წარმოების სპეციალისტს მარინე კალაძეს.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (მის. ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52) და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა კოლეგიაში (მისამართი დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

კოლეჯის დირექტორი — როინ ტაკიძე